საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ისარლიშვილი ლუკა სტეფანეს ძე

ისარლიშვილი (ი ს ა რ ლ ო ვ ი) ლუკა სტეფანეს ძე (23. XI. 1814 – 11. IX. 1893, თბილისი), სახელმწიფო მოხელე, პოეტი, ჟურნალისტი.

დაამთავრა თბილ. გიმნაზია (1833; სწავლობდა ნ. ბარათაშვილთან ერთად, რ-ზეც საინტერესო მოგონება დატოვა). სხვადასხვა წლებში მსახურობდა თბილისის, ქუთაისის, გორის, ახალციხის ადმინისტრაციულ, სასწავლო და სასამართლო დაწესებულებებში. ერთგული დამცველ-გამტარებელი იყო საქართველოში ცარიზმის ოფიც. პოლიტიკისა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამომჟღავნდა 1881–88, როცა „კავკასიის საცენზურო კომიტეტში" მსახურობდა უმცროს ცენზორად და მდივნად. ამ თანამდებობაზე ყოფნისას ი. ქართ. ჟურნალ-გაზეთებს უკრძალავდა ნებისმიერი ისეთი მასალის გამოქვეყნებას, რ-იც არ ეთანხმებოდა გაბატონებულ სახელმწ. იდეოლოგიას. თანამედროვენი მას მიაწერენ გაზ. „დროების" დახურვის ინიციატივას.

ი. თანამშრომლობდა ქართ. („ცისკარი") და რუს. („კავკაზ", „ტიფლისსკი ვესტნიკ", - „ტიფლისსკი ლისტოკ", „გოლოს"...) პრესასთან, აქვეყნებდა ორიგინ. თუ ნათარგმნ ლექსებს, ქართველოლოგიურ სამეცნ. და სამეცნ.-პოპულარული ხასიათის თხზულებებს, მემუარებს.

თხზ.: ლექსნი, თქმულნი ლუკა სტეფანეს ძე ისარლოვისა, ზ. ჭიჭინაძი *გამოც.*, ტფ., 1895; კათოლიკენი საქართველოში, ტფ., 1898; მოკლე კანონნი ქართულის პოეტიკისა ანუ ლექსთა თხზულებისანი, წგ.: ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII–XIX სს.), თბ., 1954; Письма о Грузии, Тфл., 1899.

ლიტ.: ბ ე ქ ი რ ი შ ვ ი ლ ი ი., ნარკვევები აჭარის წარსულიდან, ბათ., 1982; მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი ი., მოგონებები, თბ., 1985; ხ ე ლ თ უ ბ ნ ე ლ ი მ., სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან, თბ., 1938.

თ. ჯოლოგუა